

## საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნოქალაქევის ერთობლივი ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის  
2006 წლის საველე სამუშაოების

### ა ნ გ ა რ ი შ ი

ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი  
ისტ.მეცნ.კანდიდატი - დავით ლომიტაშვილი

ისტ.მეცნ.დოქტორი - ბესიკ ლორთქიფანიძე

ფონდის კურატორი - მერი ზამთარაძე

ქიმიკოს-რესტავრატორი - ნინო ქებულაძე

სტაჟიორი - ნიკოლოზ მურდულია

პროექტის დირექტორი - იან კოლგინი

ოსტეოლოგი - ბენჯამინ ნილი

### შესაბამისობა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ<sup>1</sup> 2006 წლის საველე სამუშაოები სენაკის რ-ნის სოფ. ნოქალაქევში 28 ივლისიდან 28 აგვისტომდე აწარმოა. გეგმით გათვალისწინებული რიგით მეექვსე კამპანია ერთობლივმა ექსპედიციამ კვლავ ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, მაგრამ წინა წლებისგან განსხვავებით მხოლოდ ერთ, აღმოსავლეთის სექტორის თხრილზე აწარმოა (კვ. F-2). აღნუშნულ თხრილზე საანგარიშო პერიოდში მუშაობა წარმოებდა გვიანელინისტური-ადრეული შუასაუკუნეების ფენების გამიჯვნა-დამუშავების თვალსაზრისით. როგორც გათხრების დინამიკიდან ირგვევა A თხრილში ფენებს მკაცრი პორიზონტალურობა არ ახასიათებს და ხშირად, განსაკუთრებით თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში, ზემოაღნიშნული ორი სრულიად განსხვავებული კულტურული ფენის გამიჯვნა ძალზე სკულპტურზე მიდგომას საჭიროებს. ნახევრად სტერილური ფენა, რომელიც გვიანელინისტურ ხანას ჰყოფს ადრე შუა საუკუნეების ფენისაგან ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში სხვადსხვა სისქეებით ფიქსირდება – 5 სმ-დან 60 სმ-მდე. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები კონკრეტული პერიოდის და ადგილის გეო-მორფოლოგიური თავისებურებანი, ზოგჯერ კი ადამიანის ჩარევები გარემოზე. მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, საანგარიშო პერიოდში მოხერხდა ამ ფენების გამიჯვნა. შესრულებულ სამუშაოს დაწვრილებით გაეცნობით ქვემოთ. ამავე დროს, მომავალ წელს კვლავ გაგრძელდება ამ თხრილზე მუშაობა, სადაც წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით ველით ადრე და წინარეგანტიკური ხანების კულტურული ფენების გამოვლენას.

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიცია  
2006 წლის სეზონი

<sup>1</sup> ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფ. დ. ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბ. ნილი (ოსტეოლოგი, პროექტის თანახელმძღვანელი), დრ. ბ. ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელის მოადგილე), ი. ქოლგინი, დრ. ნ. ქებულაძე (ქიმიკ-რესტავრაციონ ლაბორატორიის ხელმძღვანელი), კ. რასელი, ქ. გრანტი, თ კაპანაძე, მ. ზამთარაძე, ნ. მურდულია, მ. ჭედლიშვილი, ნ. ძიგუა

## A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

წელს A თხრილზე სამუშაოები 29 ივლისიდან 26 აგვისტომდე მიმდინარეობდა (თხრილის ხელმძღვანელი ბენ ნეილი). თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ სეზონში გათხრები თხრილის მხოლოდ ახალ, ჩრდილო და დასავლეთ მონაკვეთებზე გაგრძელდა.



A თხრილი, საერთო ხედი აღმოსავლეთიდან

მოსაზრება, რომ ფენაში დიდი რაოდენობით სამშენებლო კერამიკის, ფლეთილი და რიყის ქვის და ცხოველური ძვლების გამოვლენა, გამოწვეული უნდა იყოს ამ ადგილას სამშენებლო მოედნის არსებობით. თხრილი მდებარეობს ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნების და ჭიშკრების დასავლეთ კიდეზე, შესაბამისად შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ აღნიშნული ფენა ქალაქის ამ მონაკვეთის აშენებისას წარმოიქმნა და ამიტომაც შეიცავს დიდი რაოდენობით ფლეთილ და რიყის ქვას და სამშენებლო კერამიკას (აგური, კრამიტი, დამწვარი დუღაბი), ხოლო ცხოველების ძვლების ამ ფენაში აღმოჩენა, აქ მუშების მიერ ყოველდღიურად საკვების მიღებით და ნარჩენების იქვე გადაყრით შეიძლება აისხნას. ფენა



რიყის ქვების ფენა (172), ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

გამოყენებული არ არის. ქვების ზომები 10-20 სმ-ს შორის მერყეობს. გამოვლენილი 12 ქვის მდებარეობის მიხედვით დგინდება მთლიანად ამ ფენის სავარაუდო მიმართულება: ჩრდილო-სამხრეთის დამხრობა, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. გამოვლენილი ფენა უპირველეს ყოვლისა მოკირწყლული გზის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა საქმე გვქონოდა ქვებით დახურულ სამარხთან, თუმცა ეს ვარიანტი თავიდანვე გამოირიცხა, რადგანაც, როგორ წესი ორმო და ქვა სამარხების გადახურვისთვის მხოლოდ კლდის ქვას გამოიყენებოდნენ. აღნიშნული ფენის ზედაპირული პრეპარაციის შემდეგ, ქვების დასავლეთ გაგრძელებაზე (1.5 მ. თხრილის დასავლეთ კიდემდე) გამოჩნდა მეტად მკვრივი, დაპრესილი, თიხა ნარევი, მომწვანო შეფერილობის ფენა, რომლის


სამუშაოების დაწყების პირველივე დღეებში, დამცავი ცელოფანის აღების შემდეგ თხრილის დას. მონაკვეთზე გამოვლინდა ფენა (170), რომელშიც მასიურად ამოვიდა სამშენებლო კერამიკა და ცხოველის ძვლები, ასევე გამოვლინდა დიდი რაოდენობის სხვადსხვა ზომის (10-40 სმ) ნაყარი ქვები და მცირე რაოდენობით კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები. გამოვლენილი კერამიკის საფუძველზე ფენა აღრე შეა საუკუნეებით (IV-VI სს) თარიღდება. გამოითქვა

თხრილის ფართობზე სხვადსხვა ინტენსივობით გრცელდებოდა (10-20 სმ), შეიცავდა მოშავო-მონაცრისფრო ფერის ფენიერ ნიადაგს. № (170) ფენის აღების დროს, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა ერთად ჩაწყობილი ბრტყელი რიყის ქვის ფენა, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა კლდის ფლეთილი ქვები. გაწმენდვის შემდეგ სულ გამოჩნდა 12 რიყის ქვა (კოორდინატები 107.0/202.0). ფენის დანარჩენი ნაწილი თხრილის გარეთ გადის და შესაბამისად ვერ ხერხდება სურათის ერთიანი წაკითხვა. ქვები ქმნის ბრტყელ მოსწორებულ ფენას. დუღაბი

№ (170) ფენის აღების დროს, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა ერთად ჩაწყობილი ბრტყელი რიყის ქვის ფენა, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა კლდის ფლეთილი ქვები. გაწმენდვის შემდეგ სულ გამოჩნდა 12 რიყის ქვა (კოორდინატები 107.0/202.0). ფენის დანარჩენი ნაწილი თხრილის გარეთ გადის და შესაბამისად ვერ ხერხდება სურათის ერთიანი წაკითხვა. ქვები ქმნის ბრტყელ მოსწორებულ ფენას. დუღაბი

№ (170) ფენის აღების დროს, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა ერთად ჩაწყობილი ბრტყელი რიყის ქვის ფენა, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა კლდის ფლეთილი ქვები. გაწმენდვის შემდეგ სულ გამოჩნდა 12 რიყის ქვა (კოორდინატები 107.0/202.0). ფენის დანარჩენი ნაწილი თხრილის გარეთ გადის და შესაბამისად ვერ ხერხდება სურათის ერთიანი წაკითხვა. ქვები ქმნის ბრტყელ მოსწორებულ ფენას. დუღაბი

ჩრდილოეთითაც კარგად იკვეთება მეორე 20 სმ სიგანის და იგივე სიგრძის (1.5 მ.) კარგად გამოხატული და სწორხაზოვანი მეორე ფენა, რომელიც სავარაუდოდ პირველ ფენაში უნდა იყოს ჩაჭრილი. სამწუხაროდ დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული



ფენების ბოლომდე შესწავლა. მათი სრული რიყის ქვების(1) და ჩაჭრილი ფენის(2) გამჭვინდვა 2007 წლის სეზონზე იგეგმება და გეგმა (172)

იმედია, შემდეგ უკეთესად გამოირკვევა რიყის ქვების და მის მიმდებარედ გამოვლენილი ორი ფენის დანიშნულება და წარმომავლობა. სამივე ფენა ერთად დაინომრა კონტექსტით № (172)

2005 წლის სეზონის ბოლოს თხრილის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე გამოჩნდა მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის "წრეები", რომელიც, თხრილის ხელმძღვანელმა (ნიკ არმოურმა) კულტურულ ფენად მიიჩნია და კონტექსტის № (171) მიანიჭა. შესაბამისად 2006 წლის სეზონის დაწყებისთანავე გავაგრძელეთ ამ "ფენის" გაწმენდვა, თუმცა როგორც შემდგომში გაირკვა (ექსპედიციის ხელმძღვანელის დ. ლომიტაშვილის მიერ) აღნიშნული "წრეები" არ წარმოადგენდნენ ცალკე ფენას, ასეთი შეფერილობის ადგილები თხრილის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა სხვადასხვა ინტენსიონით და დ. ლომიტაშვილის დაკვირვებით, ნიადაგმა მომწვანო-მოყვითალო შეფერილობა მიიღო, მიწაში არსებული კირქვის დაშლის შედეგად, რაც გამოწვეული იყო მიწისქვეშა წყლების დინებით. ამდენად, მოგვიწია ამ "ფენის" კონტექსტის ნომრის გაუქმება.



პარალელურად ვმუშაობდით თხრილის ჩრდილო მონაკვეთზეც, სადაც პირველივე დღეებში, უშუალოდ თხრილის კიდესთან გამოვლინდა დამწვარი თიხის ფენა (171), რომელიც ორ ადგილას არის კონცეტრირებული და მცირედ ვრცელდება სამხრეთ მიმართულებით დაახ. 2 მეტრზე. დამწვარი თიხის გარდა ფენა შეიცავდა ფენის გარეთ მიწას.

დასავლეთით მდებარე დამწვარი თიხის ფენა, მრავლად გამოვლინდა ფლეთილი ქვები ხედი სამხრეთიდან (177), (178), (179), (180) და სამშენებლო და სამზარეულო

კერამიკა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტად გაჰირდა ამ ფენის გამიჯვნა მის სამხრეთით მდებარე მეორე ფენისგან, რომლებიც, აღმოჩნდი მასალის მიხედვით სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნებოდნენ. გამოვლენილი ფენა (171) გამოდის თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან და ვრცელდება სამხრეთით. მისი ზუსტი საზღვრების დადგენა გაჭირდა, თუმცა ვფიქრობთ ფენის გავრცელების არეალი არ უნდა სცილდებოდეს 2 მეტრს სამხრეთით, ხოლო დასავლეთით და აღმოსავლეთით ის თხრილის თითქმის მთელ ფართობზე ვცელდებოდა. საინტერესო გამოდგა ორ ადგილას კონცეტრირებული დამწვარი თიხის პრეპარაცია. ორივე მათგანი თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან გამოდის და წრიულ ფორმას კრავს, ისინი ერთმანეთს დაშორებულია დაახ. 3 მეტრით. ერთ მათგანს, რომელიც დასავლეთით მდებარეობს (კოორდინატები 107.0/212.0; ზომები: 1.30X1.0მ; კონტექსტის №№: (177), (178), (179), (180)), გარშემო შემოწყობილი პქნდა ერთმანეთის მიჯრით დალაგებული ფლეთილი ქვები, გარდა ამისა ზემოდან ელაგა კრამიტის და აგურის ნატეხები, რის გამოც გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს ყოფილიყო ქალაქის მცველებისთვის მოწყობილი საგუშაგო კოცონის ნაშთი, რასაც ადასტურებდა მცირე ფართობზე გაშლილი და სიღრმეში დაახ. 10-15 სმ-ის დამწვარი ფენა, თუმცა გადაჭრით ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით ეკუთვნის თუ არა

აღნიშნული ქვების რიგი დამწვარი ფენის კონტექსტს, ამიტომ ზუსტი დასკვნების გაკეთება ძნელია. იგივე მოსაზრება ეხებოდა მეორე, აღმოსავლეთით გამოვლენილ დამწვარ ფენასაც (კოორდინატები: 103.0/212.0; ზომები: 70X50სმ; კონტექსტის №№: (175), (176)), რომელშიც გამოვლინდა აგურის ორი ცალი ნატეხი და კერამიკული ჭურჭლის (IV-VI სს) 5 ცალი მცირე ზომის ფრაგმენტი, ასევე სხვადასხვა ზომის და ფორმის ფლეთილი ქვები. დამწვარი თიხის ფენები მსგავსია შემცველობით, ორივე მათგანში შეინიშნება მუქი ყავისფერიდან წითელში და ნარინჯისფერში გარდამავალი საკმაოდ დაპრესილი, თუმცა ფხვიერი მიწა. ისევე როგორც მიწის შეფერილობა, ასევე მისი შემცველობა და სიმკრივე მიანიშნებსლიერი და ხანგრძლივი ცეცხლის კვალზე მიუთითებს.

აღმოსავლეთით მდებარე დამწვარი თიხის ფენა, ხედი სამხრეთიდან (175), (176)



გამოიყენებდნენ  
ცეცხლი"  
სასროლ  
რომელიც შედგებოდა  
ნივთიერებებისგან,  
დასაშვებია,

ვრიული გამოვლენილი ნაგებობის ნაშთი, ხედი  
ფერები სწორედ აღმოსავლათიდან (173)  
ჭურვებს წარმოადგენდეს, მითუმეტეს, რომ A  
ადგილად მისადგომ აღმოსავლეთ გალავნებთან  
მოსაზრებად და ზუსტ პასუხეს 2007 წლის სეზონი  
მას შემდეგ რაც ბოლომდე გაიწმინდება გამოვლენილი

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ  
შესაძლებელია აღნიშნული ორი ერთმანეთის  
მსგავსი კონცეტრირებული დამწვარი თიხის  
ფენა სულაც არ იყოს  
გუშაგებისთვის მოწყობილი  
კოცონები, შეიძლება აქ საქმე  
გვქონდეს ე.წ. "ბერძნულ  
ცეცხლის" მსგავს საბრძოლო  
იარაღთან, რომელიც კარგად  
ცნობილი  
ადრეშუასაუკუნეების სამყაროში  
და განსაკუთრებით ფართოდ  
ბიზანტიელები. "ბერძნული  
წარმოადგენდა კატაკულტით  
ცეცხლმოკიდებულ ჭურგს,  
სხვადასხვა აალებადი  
გამოიყენებოდა თიხაც.  
რომ A თხრილზე გამოვლენილი  
ფორმის დამწვარი თიხის  
ნაქალაქარის გარედან ნასროლ  
მეტეს, რომ A თხრილი ნაქალაქარის ყველაზე  
გალავნებოდა მდებარეობს. თუმცა ეს მხოლოდ  
73 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ მივიღებთ,

თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში № (171) ფენის წმენდვისას, მის სამხრეთ გაგრძელებაზე მრავლად ამოვიდა ფლეთილი ქვები, რამაც თავიდანვე დაბადა ეჭვი, რომ შესაძლოა აქ კედლის ნაშთი გამოვლილიყო. პირველი ადგილი, სადაც ერთად "ჩაყრილი" ქვები გამოჩნდა, იყო თხრილის ცენტრალური მონაკვეთი (ჩრდილო კიდედან 3 მ.; დასავლეთიდან - 4 მ.), თუმცა კედლის ფორმები არ

იკვეთებოდა; იმავე დღეს თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში გამოჩნდა ძალიან ცუდად შემონახული დას-აღმ მიმართულების ქვების წყობა. ამ წყობის გაწმენდვისას თხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოიკვეთა დიდი ზომის (0.5X1 მ) ქვა. შემდეგ დღეებში თხრილის ძველი და ახალი მონაკვეთების ჩრდილოეთ კიდეზე გამოჩნდა კიდევ ერთი დას-აღმ. დამხრობის კედლის ნაშთი. გამოვლენილი კედლების ნაწილობრივმა გაწმენდვამ დაგვარწმუნდა, რომ მათი



გამოვლენილი ნაგებობის მდებარეობა თხრილში, გაგრძელება უნდა ყოფილიყო თხრილის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქველი მონაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილშიც, რომელიც 2006 წლის სეზონზე ცელოფანით იყო დახურული. ცელოფანის ნაწილის აღების შემდეგ მართლაც გამოჩნდა ახლად გამოვლენილი ნაგებობის სამხრეთი ხაზიც. ახლად გამოვლენილი კედლების წმენდვისას მცირედ, მაგრამ მაინც ამოვიდა თიხის ჭურჭლის, ლითონის ნივთების და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რის საფუძველზეც მთლიანად ნაგებობის ფენა (173), (174) ელინისტური ხანის უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს, როგორც გამოვლენილი მასალა, ისე თვითონ ნაგებობის წყობა და სამშენებლო ტექნიკა: არსად არ არის გამოყენებული რიყის ქვა და დუღაბი, ნაგებია მშრალი წყობით, სხვადსხვა ზომის (0.15-დან 1 მ-მდე) ფლეთილი ქვით, რაც მახასიათებელია ელენისტური ხანის არქიტექტურისთვის. კედლების მიმართულებები ძალიან ცუდად იკითხება, იკვეთება სამი ერთმანეთის პარალელური დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის კედლის ნაშთი, რომლებიც, როგორც ჩანს დასავლეთით ერთ სამხრეთ-ჩრდილოეთის დამხრობის კედელს ებჯინებოდა, ოთხივე კედელი ფრაგმენტულად არის გამოვლენილი, გარდა ამისა იკვეთება კიდევ სხვა ქვები (მაგ. ზემოთ ნახსენები 0.5X1 მ. ზომის ქვა), რომლებიც იგივე ნაგებობის კონტექსტში უნდა მოვიაზროთ, თუმცა გადაჭ- რით ვერაფერს ვიტყვით მათ დანიშნულებაზე. საფიქრებელია, რომ ნაგებობის ნაწილი გადის თხრილის აღმოსავლეთ, ნაწილი კი ჩრდილოეთ მხარეს. წლევანდელ სეზონზე გამოვლენილი კედლები შემდეგი სახის სურათს ქმნის: ელინისტური პერიოდის უცნობი დანიშნულების ნაგებობა; გამართული დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზებ; სავარაუდოდ რამდენიმე (2 ან 3) ოთახით; საერთო ზომები: დაახ. 4.5X8 მ. 2006 წლის სეზონზე ვერ მოხერხდა გამოვლენილი ნაგებობის სრულად შესწავლა და ამიტომ სამუშაოები 2007 წელსაც გაგრძელდება. 2005 წელს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისურმა ექსპედიციამ იგივე ტიპის ელინისტური ხანის ნაგებობის ნაშთს ნაქალარზე მდებარე ს თხრილზე მიაკვლია, რაც მომავალში ამ ნაგებობების უფრო კომპლექსურად შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

2006 წლის სეზონის განმავლობაში A თხრილზე სამი სამარხი გამოვლინდა, ერთ-ერთი მათგანის შესწავლა დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა და ის 2007 წლის სეზონზე გაიწმინდება. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ის თხრილის დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს თხრილის დასავლეთ კიდედან დაახლოებით 1.5 მ. და სამხრეთიდან 3 მ. სიშორეზე, გამომდინარე მის გვერდით აღმოჩნდილი სამარხიდან,

შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ეს სამარხიც აღმოსავლეთ-დასავლეთ დამხრობისაა, საფიქრებელია, რომ ასვენია გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში. უფრო ზუსტი მონაცემები მისი გაწმენდვის შემდეგ გვექნება.

თხრილის დასავლეთ ნაწილში № (172) ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა სამარხი (კონტექსტის №№: ფენა (184); ჩონჩხი (185); ჭრილი [186]) – აღმოსავლეთ-დასავლეთ დამხრობის ჩონჩხი, თავით დასავლეთისკენ, გაშოტილი, გულაღმა მწოლიარე, სამარხის ჭრილის სიგრძე – 1.2 მ; სიგანე – 0.40 მ; სიღრმე – 3,71 მ. სამარხი ეპუთვნოდა ახალგაზრდა ადამიანს. ინგენტარის გარეშე. სამწუხაროდ ჩონჩხი ძლიერ არის დაზიანებული და სრულად არ იკითხება, ძვლების პირვენდელი მდებარეობები არეულია, დაკარგულია წვივის და ტერფის ძვლები. სავარაუდოდ, ეს სამარხი ჩაჭრილია სხვა გვიანებული სამარხის მიერ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 2005 წელს გამოვლენილი სხვა სამარხი, რომლის ჭრილიც აღნიშნული სამარხის ჭრილს ემთხვევა. სამარხის დამხრობის, დაკრძალვის წესის და კულტურულ ფენაში (172), გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ის IV-VI სს-ის ქრისტიანულ სამარხს უნდა



აღმ-დას. დამხრობის სამარხი (184), (185), [186]

განეკუთვნებოდეს.

თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთზე გამოვლენილი ნაგებობის (173) ნაშთის წმენდვის დროს, ერთ-ერთი (სავარაუდოდ ჩრდილოეთ) კედლის ძირში, კედლის ქვების ქვედა დონეზე (181) გამოიკვეთა დერგი [183], რომელშიც მიცვალებული (182) ესვენა. დერგი პირით ზემოთკენ არის გაშვერილი, დამხრობა სამხრეთ – აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, პირი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. დერგის პირთან იდო გათლილი რიყის ქვა, სავარაუდო განეკუთვნილი იყო სამარხი ჭურჭლის დასახუფად. დერგის ზომებია: სიმაღლე – 43 სმ; დაიამეტრი – 38 სმ: სიღრმე 3.38 მ. დერგის ქვეშ გარედან ნარინჯისფრი, ხოლო შიდა მხრიდან რუხი შეფერილობისაა. სამარხი უინვენტაროა. დერგის ნაწილი დაკარგულია, საფიქრებელია, რომ მის თავზე გამოვლენილი ნაგებობის შენების დროს. დერგში ადამიანის ძვლების მხოლოდ მწირი ნაწილი აღმიოჩნდა: თავის ქალა, მარჯვენა მკლავის ძვალი, რამდენიმე ნეკნი და წვივის ძვლის ნაწილი. შემორჩენილი ძვლები მიხედვით, სავარაუდო სამარხო ახალგაზრდა ადამიანს ეკუთვნოდა. მიცვალებული ესვენა მოკურუნებულ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით, სახით სამხრეთ-დასავლეთით. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა საქმე გვქონდეს დერგ-სამარხი (181), (182), [183] კრემაციულ სამარხთან, თუმცა არც დერგში და არც გამოვლენილ ძვლებზე ცეცხლის კვალი არ აღინიშნება. გამოვლენილი კულტურული ფენის (173) და დამარხვის წესის მიხედვით აღნიშნული დერგ-სამარხი ზოგადად ელინისტური ხანით (ძვ. წ. IV-I სს)



დერგ-სამარხი (181), (182), [183]

კრემაციულ სამარხთან, თუმცა არც დერგში და არც გამოვლენილ ძვლებზე ცეცხლის კვალი არ აღინიშნება. გამოვლენილი კულტურული ფენის (173) და დამარხვის წესის მიხედვით აღნიშნული დერგ-სამარხი ზოგადად ელინისტური ხანით (ძვ. წ. IV-I სს)

უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ დერგ-სამარხი ნოქალაქევიში პირველად აღმოჩნდა.

წლევანდელ სეზონში სამუშაოების დაწყების პირველივე დღეებში თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, № (171) ფენის წმენდვის დროს გამოჩნდა მეტად საინტერესო ფორმის თიხის ჭურჭელი – ჯამი (171), თუმცა ვიდრე მისი პრეპარაცია მოხდებოდა, დამით უცნობმა პირებმა ის ამოიღეს მიწიდან, დაამტკრიეს და იქვე დატოვეს. დაიკარგა რამოდენიმე მცირე ნატეხი, თუმცა რესტავრაციონების (6. ქებულაძე, 6. მიგუა) დახმარებით მოხერხდა მისი აღდგენა. ჯამი რუხი შეფერილობის არის, მისი პირის დიამეტრი 12 სმ-ია, სტილისტურად მიაგავს ელენისტური ხანის ნაწარმს.

გარდა ზემოთ აღნიშნული აღმოჩენებისა 2006 წელს A თხრილზე მუშაობისას აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისგან დამზადებული 26 ერთეული მცირე ნივთი:

ნივთი №	კონტექსტი №	აღწერილობა	კოორდი- ნატეხი	სიღრმე 0 მ-დან
01	(170)	მინის სასმისის ძირის ფრაგმენტი	ჩრდ. მონაკ.	-3.34
02	(170)	მინის წილის ფრაგმენტი	სამხ. მონაკ.	-3.27
03	-	გაუქმებული ნომერი	-	-
04	(170)	გატეხილი ლურჯი მინის მძივის მარცვალი	სამხ. მონაკ.	-3.20
05	(171)	მინის ნაჭერი	ჩრდ. მონაკ.	-3.20
06	(171)	მინის სასმისის ფრაგმენტი	ჩრდ. მონაკ.	-3.30
07	(170)	მინის ფრაგმენტი	ჩრდ. მონაკ.	-3.53
08	(172)	ამოკარტული აგური	201.30/105.80	-3.55
09	(171)	მინის ფრაგმენტები	210.0/104.50	-3.20
10	(171)	სპილენძის საკიდის ფრაგმენტი	209.95/102.20	-3.21
11	(171)	მწვანე, დამუშავებული ფირუზი (?)	211.05/105.10	-3.23
12	(171)	დაუანგული მწვანე მინა	210.75/101.70	-3.19
13	(171)	გამჭვირვალე მინის ფრაგმენტი	211.0/104.90	-3.24
14	(171)	მოდრეკილი მინის ფრაგმენტი	211.63/106.05	-3.24
15	(171)	დაღარული მინის ფრაგმენტი	ჩრდ. მონაკ.	-3.25
16	(171)	მინის ფრაგმენტი	212.03/105.0	-3.39
17	(173)	დამუშავებული ქვა	210.84/101.60	-3.17
18	(173)	ლითონის კაუჭი	210.84/101.75	-3.24
19	(173)	მინის ფრაგმენტი	211.45/105.05	-3.27
20	(173)	პასტის მძივის მარცვალი	211.94/102.04	-3.20
21	(173)	მინის მძივის მარცვლის (?) ფრაგმენტი	212.0/105.80	-3.24
22	(173)	სართავი	211.78/107.23	-3.40
23	(173)	გამოჭედილი სპილენძის ნაჭერი	212.08/107.33	-3.37
24	(173)	დამუშავებული ქვის ანატკეცი	213.08/107.31	-3.32
25	(173)	მონეტის ფრაგმენტი (???)	210.85/103.35	-3.36
26	(173)	შავბრიალა კერამიკის ფრაგმენტი	208.84/108.12	-3.48
27	(174)	რკინის დანა	207.30/107.50	-3.40

## მასალის აღწერილობა

აქ წარმოვადგენთ სხვადსხვა კონტექსტებში გამოვლენილი მასალის ტიპიურ ნიმუშებს.

### კონტექსტი (170)

1. ამფორის ყური, წითელი თიხა, ბრტყელი, ამობურცული, იმორტული, IV-VI სს.
2. ადგილობრივი ქოთნის ყური, ლეგა ფერის თიხა, მომრგვალებული, ცეცხლის ქვალით, IV-VI სს.
3. ლუთერიუმის გვერდის ნატეხი, წითელი თიხა, იმპორტული, IV-VII სს.
4. მცირე ზომის ჭურჭლის (სასმისის ან სამარილის) ძირის ფრაგმენტი, ძირი გამოყოფილია, თიხა ლეგა ფერის, ადგილობრივი, IV-VI სს.
5. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი, თიხა მოყავისფრო, პირი გადაშლილი, აადგილობრივი, IV-VI სს.
6. წითელი ფერის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შიგნიდან მოყავისფროდ გაპრიალებული, ადგილობრივი, IV-VI სს.
7. წითელ ლაკიანი ჭურჭლის ნატეხები, 2 ცალი, ერთი – შიგნით შეწეული პირი, მეორე – გამოყოფილი ძირი, იმპორტი, IV-VI სს.
8. პატარა ზომის ჭურჭლის ყური, წითელი ფერის თიხა, ადგილობრივი, IV-VI სს.
9. მინის სასმისის ძირი, მომწვანო ფერის, ოდნავ გამოყოფილი კონუსური ქობათი, IV-VIII სს., ანალოგიები მოიპოვება მთელ შავიზღვისპირეთში (ნოქალაქევი I, გვ. 127, ტაბ. XLI - 2)

### კონტექსტი (171)

1. ამფორის მომრგვალებული ძირი, თიხა წითელი, ადგილობრივი, IV-VI სს., ანალოგიები ნოქალაქევში (ნოქალაქევი III, ტაბ. XXXIV)
2. ყურები, 2 ცალი, ერთი – დერგის, წითელი თიხის, თეთრი მინარევების, ყური ოვალურ განივევეთანი; მეორე – ქვაბის მოვარდისფრო თიხის. ორივე მასიური, ადგილობრივი, IV-VI სს.
3. მოწითალო ფერის ჭურჭლის (ქოთანი), ძირი, ორად გატეხილი, მოწითალო ფერის თიხის, შიგნიდან ცეცხლისგან გამომწვარი, ადგილობრივი, IV-VI სს.
4. დიდი ზომის ჭურჭლის პირი და გვერდი, აგურის ფერი, პირი გარეთკენ გამოყოფილი, ზემოდან დაბრტყელებული, ადგილობრივი, IV-VI სს.
5. დიდი ზომის ჭურჭლის პირი და გვერდი, მოწითალო, თეთრი მინარევებით, პირი ოდნავ ამობურცული, ადგილობრივი,
6. ქვერის პირი, წითელი თიხა, თეთრი მინარევებით, გარეთკენ გამოწეული, პირზე ორი დიდი ზომის რელიეფური ზოლებით, ადგილობრივი, IV-VI სს.
7. ჯამი, გარდისფერი თიხის, მცირე თეთრი მინარევებით, პირი ქედით გამოყოფილი, შიგნით შეწეული და ოდნავ დაბრტყელებული, ადგილობრივი, IV-VI სს.
8. ქილის პირ-ყელი, ყავისფერი თიხა, მომრგვალებული და ოდნავ შეწეული პირი, თხელკედლა, ადგილობრივი, IV-VI სს.
9. წითელლაკიანი ჯამი, ოდნავ შიგნით შეწეული და ოდნავ გარეთ გაზნექილი პირით, V-VI სს., ანალოგიები აღმოჩენილია მთელ შავიზღვისპირეთში, მათ შორის ნიკოპოლისში (Nicopolis and Istrum: A Roman to early Byzantine city. The pottery and Glass., A.G. Poulter. Leicester University press, 1999. გვ. 188, ტაბ. 536).
10. კერამიკული წითელ ლაკიანი ჯამი, სწორი წაწვეტებული პირით, III-IV სს., ანალოგიები მთელ შავიზღვისპირეთში, მათ შორის ნიკოპოლისში, (Nicopolis... გვ. 186, ტაბ. 525).

11. წითელლაპიანი თევზის ძირის ნატეხი, IV-VI სს., ნოქალაქევში გამოვლენილია ადრეც (ნოქალაქევი I, V. 129-131, ნახ. 14e).
12. დერგის პირები, 2 ცალი, ერთი - მოვარდისფრო, მეორე კი მონაცრისფრო ფერის, პირი შიგნითკენ გამოყოფილი, ზედაპირზე ერთი ვერტიკალურად, მეორე კი დიაგონალურად დაღარული ორნამენტით არის შემკობილი, ადგილობრივი, ძვ. წ. III-I სს.
13. ფეხიანი სასმისის ძირი, ლეგა ფერის თიხა, ძვ. წ. VI-IV სს., ანალოგიები ნოქალაქევში ადრეც არის გამოვლენილი (ნოქალაქევი II, გვ. 206-207, სურ. 46).
14. ჯამი, რუხი ფერის თიხა, თეთრი მინარევებით, ანალოგიები ჩანს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ტირამბა) – ძვ. წ. V ს. და აღმოსავლეთ საქართველოში (სამადლო) – ძვ. წ. IV-III სს. (Античные государства северного пречерноморья, 1984, გვ. 146, ტაბ. XLVIII; От. Лордкипаниძе, Наследие древней Грузии, 1989, გვ. 318, ნახ. 164).

#### კონტაქსტი (172)

1. ღოქის ყელი და ყური, მოწითალო ტიხა, ყელი ქვემოთკენ ოდნავ დაგიწროვებული, ყური ოვალური, IV-VI სს.
2. ღოქის პირის ნატეხი, ვარდისფერი თიხა, პირი გადაშლილი, გარეთკენ გამოყოფილი, შიგნით შეწეული, ვიწრო ყელი, იმპორტი, IV-VI სს.
3. ქოთნის პირ-ყელის ნატეხები, ორი ცალი, ერთი – წითელი თიხის, გარეთკენ გამოყოფილი პირით, მეორე – გადაშლილი პირით, ორივეს აჩნია ცეცხლის კვალი, IV-VI სს.
4. ქოთნის ძირი, მოყავისფრო თიხა, თეთრი მინარევებით, გარეთკენ გამოყოფილი ძირით, შიგნით ცეცხლის კვალით, IV-VI სს.
5. წითელლაპიანი თევზის პირის ნატეხი, IV-VI სს., ანალოგიები ნაპოვნია ნოქალაქევში (ნოქალაქევი I, გვ. 129-131)
6. ქოთნის ყური, ლეგა ფერის, ზოომორფული (მოტეხილი აქს), მრგვალ განივალეთიანი, ადგილობრივი, ძვ. წ. VI-IV სს.

#### კონტაქსტი (173)

1. ლუთერიუმის პირის ნატეხები, 2 ცალი, ერთი – აგურისფერი, მეორე – წითელი, შემორჩენილი აქც ტუჩი, ადგილობრივი, IV-VI სს.
2. ქოთნის პირები, 3 ცალი, ლეგა ფერის, ერთი – გადაშლილი, ორი – ოდნავ გადაშლილი, ადგილობრივი, ძვ. წ. V-IV სს.
3. ქოთნის ძირი, მოწითალო ფერის თიხა, ძირი ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი, ადგილობრივი, ძვ. წ. V-IV სს.
4. დიდი ზომის ლანგრის პირი, ჩალისფერი, პირი გადაშლილი, მომრგვალებული და გარეთკენ ოდნავ გამოყოფილი, ადგილობრივი, ძვ. წ. VI-VI სს.
5. დერგის გვერდის ნატეხი, ლეგა ფერის თიხა, თეთრი მინარევებით, გვერდს დაუყვაბა რელიეფური ქედი. ადგილობრივი, ძვ. წ. VI-IV სს.
6. დერგის გვერდის ნატეხი, ლეგა ფერის, თეთრი მინარევებით, ღრმა ნაჭდევებით დატანილია ბადისებური ორნამენტი. ადგილობრივი, ძვ. წ. VI-IV სს.
7. ფეხიანი სასმისის ძირი, ლეგა ფერის თიხა, ძვ. წ. VI-IV სს., ანალოგიები ნოქალაქევში ადრეც არის გამოვლენილი (ნოქალაქევი II, გვ. 206-207, სურ. 46).
8. სამარილის პირის და გვერდის ნატეხი, მუქი ნაცრისფერი თიხა, პირი ოდნავ გარეთკენ გამოწეული, მომრგვალებული, გარედან ცეცხლის კვალით, ადგილობრივი, ძვ. წ. VI-VI სს.
9. ზოომორფული ყურები, 3 ცალი, ნაცრისფერი თიხა, ადგილობრივი, ძვ. წ. VI-IV სს.

10. ყურმილიანი დოქტორის ყურის ნაწილი, მოწითალო ფერის, ადგილობრივი, ძვ. წ. VII-VI სს.
11. მინის ნელსაცხებლის ძირი, დია ზურმუხტის ფერი, IV-VI სს., ანალოგიები გამოვლენილია მთელ საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, მაგ. ნიკოპოლისში (Nicopolis... გვ. 327, ტაბ. 128).
12. მინის სასმისის პირის ფრაგმენტი, ოდნავ მომრგვალებული ბაკოთი, IV-VI სს., ანალოგია გვხვდება ნიკოპოლისში (Nicopolis... გვ. 342, ტაბ. 324).
13. კვირისტავი, მონაცრისფრო თიხა, წაკვეთილი კონუსის ფორმა, ცილინდრული დრუ, ადგილობრივი, IV-VI სს.
14. შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხი, იმპორტი, ძვ. წ. IV-II სს. \

#### კონტაქსტი (174)

1. მასიური ფეხიანი სასმისის ძირი, მოწითალო ფერის თიხა, ძვ. წ. VI-IV სს., ანალოგიები ნოქალაქევში ადრეც არის გამოვლენილი (ნოქალაქევი II, გვ. 206-207, სურ. 46).
2. ყურმილიანი დოქტორის ყურის ნაწილი, მოვარდისფრო ფერის, ადგილობრივი, ძვ. წ. VII-VI სს.
3. ჭურჭლის ძირი, მოწითალო ფერის, გამოყოფილი, შიგნითკენ შეწეული, ადგილობრივი, ძვ. წ. VI-IV.
4. ჭურჭლის გვერდის ნატეხები, 3 ცალი, ორნამენტებით, ჩალისფერი, მოვარდისფრო და ლეგა. ერთს რადიალური ზოლები, ორს – წიწვისებური ორნამენტი, ძვ. წ. IV-II სს.
5. თხელკედლა ქვევრის გვერდის ნატეხები, 2 ცალი, ჩალისფერი და ვარდისგერი თიხა, ვერტიკალურად დაშვებული სხივისებური რელიეფური ზოლებით, ადგილობრივი, ძვ. წ. III-I სს.

#### კონტაქსტი (176)

1. ქვევრის გვერდის ნატეხები, ლეგა ფერის თიხა, ვერტიკალურად დაშვებული სხივისებური რელიეფური ზოლებით, ადგილობრივი, ძვ. წ. III-I სს.
2. ქოთნის პირის ნატეხი, წითელი ფერის თიხა, გარეთკენ ოდნავ გადაშლილი და გამოყოფილი, ადგილობრივი, ძვ. წ. III-I სს.

#### კონტაქსტი (178)

1. პატარა ზომის ქოთნის პირი, ლეგა ფერის თიხა, გარეთკენ გადაშლილი, მომრგვალებული, ადგილობრივი, III-I სს.

#### კონტაქსტი (179)

1. ჭურჭლის ყურები, 3 ცალი, ერთი მომრგვალებული, ორი – ოვალურ განივალებული, ადგილობრივი, IV-VI სს.
2. დერგის პირ-ყელი, მუქი ჩალისფერი, გარეთკენ გადაშლილი, ზემოდან ოდნავ დაბრტყელებული, ადგილობრივი, IV-VI სს.

#### კონტაქსტი (183)

1. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი, მოყავისფრო თიხა თეთრი მინარევებით, პირი გარეთკენ ოდნავ გამოყოფილი, წაწვეტებული, ყელზე ვერტიკალური ზოლებით, ადგილობრივი, IV-VI სს.

# ნოქალაქევის სარესტაცრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიაში 2006

წლის ზაფხულში ჩატარებული კამერალური სამუშაოების

ა ნ ბ ა რ ი შ ი


შენაარსი:

1. ნოქალაქევის სარესტაცრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია
2. ძართულ-ინგლისური ექსპედიციის მიერ 2006 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის რესტაცრაცია-კონსერვაცია
  - 2.1 კერამიკა
  - 2.2 ლითონი
  - 2.3 მინა და ქვა
3. საკონსერვაციო სამუშაოების გარათები
4. სამსატრო აკადემიის მცირე სელორცების რესტაცრაცია-კონსერვაციის ფაცულტეტის მაბისტრების საზაფხულო პრატტიკა
5. ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატების რესტაცრაცია-კონსერვაცია
6. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშაონატების რესტაცრაცია-კონსერვაცია
7. 2006 წლის აროეპტების არეზენტაცია ნოქალაქევში
8. დანართები

## 1. ნოქალაქევის სარესტაცრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორია

2006 წლის სეზონზე ნოქალაქევის არქეოლოგიურ ბაზაზე პროფ. დავით ლომიტაშვილის მიერ შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების საგელუ-სარესტაცრაციო ლაბორატორია. აღნიშნულ ლაბორატორიაში დამონტაჟებულ იქნა

გამწოვი სისტემა და აღჭურვილ იქნა სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოებით (კომპიუტერი, მიკროსკოპები, მექანიკური



ფოტო №1



ფოტო №2

წმენდისათვის განკუთვნილი კამერა კომპრესორით, ბორმანქანები, მიკრო-ტალღოვანი ღუმელი და სხვ.) (ფოტო №1), საანალიზო სამუშაოებისა და კვლევებისათვის ქიმიური ჭურჭლით (დანაყოფიანი ჭიქები, მენზურებები, პიპეტები, სინჯარები და სხვა) (ფოტო №2), სხვადასხვა სახის საწმენდები და საფხენები მექანიკური წმენდისათვის და მასალითა და ქიმიკატებით (Paraloid B72, Araldite AY 596, Hardener AY 596, Titriplex III, მჟავები, სილიკონი, პოლიურეტანის ქაფი, შესაფუთი მასალა, თუთია, პოლივინილაცეტატი, სხვადასხვა სახის მშრალი პიგმენტები და საღებავები და სხვა).

ლაბორატორიაში დამუშავდება როგორც ადგილობრივი არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალა, ასევე, საჭიროებისამებრ, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სხვა არქეოლოგიური გათხრებიდან მომდინარე მასალა. გარდა ამისა აქ აუცილებლობის შემთხვევაში კონსერვირებულ-რესტაცრირებული

იქნება ნოქალაქევის, მარტვილისა და დასავლეთ საქართველოს სხვა მუზეუმების ექსპონატებიც.

## 2. 2006 წლის სეზონზე აღმოჩენილი მასალის კონსერაცია-რესტავრაცია

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2006 წლის სეზონზე მოპოვებული მასალა მთლიანად ნოქალაქევის ბაზაზე დაარსებულ საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში იქნა დამუშავებული.

აღმოჩენების დამუშავებისას გამოიყენებოდა თანამედროვე მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მეთოდიკები და მასალები.

### 2.1. კერამიკა

კერამიკული მასალა ადგილზევე იქნა გაწმენდილი. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითად წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია ჩვენამდე.

ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის, რაც თიხის ხარისხსა და გამოწვის ხასიათსა და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ძირითადად არის ბაცი ყავისფერი, წითელი ან შავი ფრაგმენტები. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც. კერამიკული მასალის დიდი ნაწილი, რომელიც ნოქალაქევშივე იქნა გარეცხილი, გამშრალი და გატარებული დატოვებულ იქნა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდში.

დანარჩენი კერამიკული მასალა სხვა განათხარ-ლითონის, მინის, ძვლის ნივთებთან და ადამიანის ძვლოვან მასალასთან ერთად ნოქალაქევის ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ ტრანსპორტირებულ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.

კერამიკული მასალის ნაწილი დაფარულ იყო მიწითა და მოთეთრო-მონაცრისფრო კარბონატების ფენით. ამიტომ პირველ რიგში აუცილებელი იყო ამ ნადების მოცილება. გარეცხამდე მასალა დახარისხდა ერთმანეთისაგან განცალკევდა კარგად და ცუდად დაცული კერამიკის ფრაგმენტები, რადგან უკანასკნელის გარეცხვა წყალში, მით უმეტეს მუვაში დაუშვებელია.

მიწისა და სხვა მექანიკური ნადების მოცილების მიზნით ფრაგმენტები მოვათავსეთ წყალში, დავტოვეთ 2-3 საათის განმავლობაში და შემდეგ თითოეული ნატეხი გავრეცხეთ ჯაგრისის საშუალებით. დროდადრო ვრეცხავდით გამდინარე წყლის ქვეშ. ბოლოს მოვათავსეთ გამოხდილ წყალში. დასასრულ დავაწყვეთ სპეციალურ თაროებზე და გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე. რაც შეეხება კარბონატებით დაფარულ მასალას, ის მოვათავსეთ განზავებულ მარილის მუვაში ( ჩI ) და დავაყოვნეთ კარბონატების სრულ დაშლამდე. კარბონატების ფენის მოცილების შემდეგ კერამიკა გავრეცხეთ გამდინარე წყალში ჯაგრისის საშუალებით და გადავიტანეთ წყლიან აბაზანაში, სადაც დავტოვეთ მეორე დღემდე. მეორე დღეს გავრეცხეთ ისევ გამდინარე წყლით ჯაგრისის გამოყენებით და ბოლოს მოვათავსეთ გამოხდილ წყალში. დასასრულ დავაწყვეთ სპეციალურ თაროებზე და გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე.

განათხარი კერამიკული მასალიდან სრულად აღდგა ერთი ფიალა და დერგი, რომელიც დერგსამარხს წარმოადგენდა (დერგი მიწაში თავიდანვე ნახევარი იყო მოთავსებული).

1. ნივთის დასახელება: **ფიალა**

2. **მასალა:** თიხა

3. **ნივთის შენახვის აღგილი და**

**საინვენტარო ნომერი:**

ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმი,

ნოქალაქევის ფონდი. საველე №28

4. **მოპოვების აღგილი და თარიღი:**

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,



ფიალა ინ-სიტუ



ფიალა რესტარაციამდე

5. **ნივთის დაცულობა და აღწერილობა:**

ფიალა იყო დამტვრეული. დაფარული იყო მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა რუხი ფერის.



ფიალა რესტარაციის შემდეგ

6. **ნივთზე ჩატარებული სამუშაო:**

ფიალა მოვათავსეთ გამოხდილ წყალში და რბილი ჯაგრისის საშუალებით გავწმინდეთ.

კერიოდულად წყალს გცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე. ფიალის აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილაცეტატის წებოთი. ნაკლული ადგილი შევავსეთ თაბაშირით და შევდებეთ ოდნავ განსხვავებული ფერის აკრილის საღებავით.

**გამოყენებული მასალა:**

1. გამოხდილი წყალი
2. პოლივინილაცეტატი
3. თაბაშირი
4. აკრილის სარებავი

- ნივთის დასახელება: **დერგი**
- მასალა:** თიხა
- ნივთის შენახვის აღგილი და საინკუნტარო ნომერი:**

ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს მუზეუმი,  
ნოქალაქევის ფონდი, საველე №



#### 4. მოპოვების აღგილი და თარიღი:

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი A,  
კონტექსტი №183, 2006 წელი

დერგი in-situ

#### 5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

დერგი იყო ნახევარი და დამტვრეული. დაფარული მიწითა და სხვადასხვა ნადებით. თიხა კაკლებად გამომწვარი, მოყვარული



#### 6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

დერგის ფრაგმენტები გაიწმინდა  
გამოხდილ წყალში რბილი ჯაგრისის  
საშუალებით. პერიოდულად წყალს  
ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ  
ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ დერგი  
იქნა აღდგენილი პოლივინილაცეტატის  
წებოთი. დერგი რესტავრაციამდე

დარჩენილი ნაკლები აღგილი  
სიმტკიცისა და ვიზუალური  
მოლიანობის გამო შესებულ იქნა  
თაბაშირით. დათაბაშირების შემდეგ  
დერგი გარედან გაიწმინდა სველი  
ქსოვილით.

#### გამოყენებული მასალა:

- გამოხდილი წყალი
- თაბაშირი
- პოლივინილაცეტატი
- აკრილის საღებავი

დერგი რესტავრაციის შემდეგ

#### 1. ნივთის დასახელება:



1.კვირისტავი, 2.ჭირისტავი ვინის 26. ვრაგმენტი

#### 2. **მასალა:** თიხა

#### 3. ნივთის შენახვის აღგილი და საინკუნტარო ნომერი:

ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი.

საველე ნომერი: 1.№22; 2. №28;

**4. მოპოვების ადგილი და თარიღი:**

სენაკის რ-ნი, ს.ნოქალაქევი, თხრ. A, კვ. F-2, კონტექსტი 1.Nº173, 2.Nº172; 2006

**5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:**

კვირისთავი და ფიალის ფრაგმენტები იყო დაფარული მიწითა და სხვადასხვა ნადებით.

**6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:**

მასალა გაიწმინდა გამოხდილ წყალში რბილი ჯაგრისის საშუალებით. პერიოდულად წყალს ვცვლიდით. დასასრულ გავაშრეთ ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ ნაწილები აღდგენილი იქნა პოლივინილაცეტატის წებოთი.

**გამოყენებული მასალა:**

გამოხდილი წყალი

**1.**



**2.**



**2.2. ლითონი**

2006 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილი იყო რკინის, სპილენძის და ბრინჯაოს ნივთები. ბრინჯაო დაფარული იყო მიწით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და „არაკეთილშობილი“ პატინით. რკინის ნივთები დაფარულ იყო რკინის უანგეულებით, მიწითა და სხვადასხვა მექანიკური ნადებით. ამდენად საჭირო იყო ამ მასალის დამუშავება და შემდგომი კონსერვაცია. ძირითადად ყველა



ნივთი გაწმენდილ იქნა დღეს მსოფლიო სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული მექანიკური წმენდის მეთოდებით.



ბოლოს კონსერვირებული ყველა ნივთი შეფუთულ იქნა აღმოჩენების პირველადი დახმარების მეთოდიკებით და მოთავსებულ იქნა სპეციალურ ყუთში, სილიკაგელისა ინდიკატორული ბარათის დახმარებით, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე.

თოთოეულ ნივთზე ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია ცალ-ცალკეა წარმოდგენილი:

**1. ნივთის დასახელება: დანა**

**2. მასალა:** რკინა



**3. ნივთის შენახვის ადგილი და საინვენტარო ნომერი:**

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი,

რმსტაცრაციამდე

ნოქალაქევის ფონდი. საველე №29.

**4. მოპოვების ადგილი და თარიღი:**

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი,



თხრილი, კონტექსტი (174), 2006წ.

რ  
რმსტაცრაციის შემდეგ

**5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა**

ნივთი იყო დამტვრეული. მოლიანად დაფარული

რკინის ოქსიდებით, სხვადასხვა მექანიკური ნადებითა და მიწით.

**6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:**

მექანიკური ნადებისა და მიწის მოსაშორებლად ნივთი მოთავსებულ იქნა სპეციალურ და რბილი ჯაგრისით გაიწმინდა. ამის შემდგომ ფორმისა და ორიგინალი ზედაპირის დასადგენად ნივთის დამუშავება განვაგრძელ ლანცეტითა ბორმანქანით ბინოკულარის ქვეშ. სამუშაოების დასრულების შემდეგ დანას ჩაუტარდა კონსერვაცია პარალინიდ ბ72-ის აცეტონესნარით.

**გამოყენებული მასალა:**

1. სპირტი 2. Paraloid B72; 3.აცეტონი

**1. ნივთის დასახელება:** 1. სამაჯურის ზრაბმენტი, 2. სარჟი, 3.ლითონის

**საჭერი; 4. სპილენძის ნივთის ზრაბმენტები**

**2. მასალა:** ბრინჯაო

**3. ნივთის შენახვის აღვილი და საინკუნგარო ნომერი:**

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი, საველე ნომერი

1. №11; 2. №10; 3. №18; 4. №23

#### **4. *mopovebis adgili da TariRi***

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი A, კვ.F-2, კონტექსტი 1.№171, 2.№171;  
3.№173; 4.№173

**5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:**

ნივთები დაფარული იყო მიწითა და სპილენძის ჟანგეულით. სამაჯურის ფრაგმენტები ნადების ქვეშ კარგი პატინა ფიქსირდებოდა.

**6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:**

მექანიკური ნადებისა და მიწის მოსაშორებლად ნივთები მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით გაიწმინდა. შემდეგ გაიწმინდა ბინოკულარის ქვეშ. ბოლოს ბორმანქანაზე დამაგრებული რეზინით. სამუშაოების დასრულების შემდეგ მასალა დაიფარა პარალოიდ ბ72-ის აცეტონესნარით.

**გამოყენებული მასალა:** 1. სპირტი; 2.აცეტონი, 3. Paraloid B72

ნივთები დამუშავდა ნოქალაქევის საველე ლაბორატორიაში.

1.



3.



#### **2.3 მინა, ქვა**

მინის მასალა ფრაგმენტული სახით იყო წარმოდგენილი. მინა ირიზირებული გახლდათ.

**1. ნივთის დასახელება:** მმივები და ჭურჭლის ფრაგმენტები

**2. მასალა:** მინა

**3. ნივთის შენახვის აღვილი და საინკუნგარო ნომერი:**

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი.

სავ.№ 1.-20; 2.-4; 3.-15; 4.-14; 5.-12; 6.-21; .7.-27; 8.-7; 9.-2; 10.-9; 11.-19; 12.-16; 13.-5; 14.-13;

#### 4. მოპოვების ადგილი და თარიღი

სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი, თხრილი , კონტექსტი 1.-173; 2.-170; 3.-171; 4.-171; 5.-171; 6.-173; 7.-173; 8.-170; 9.-170 10.-171; 11.-173; 12.-171; 13.-171 14.-171; 2006წ.

#### 5. ნივთის დაცულობა და აღწერილობა:

ფრაგმენტები ზედაპირულად იყო ირიზირებული

#### 6. ნივთზე ჩატარებული სამუშაო:

ჭუჭყის მოსაშორებლად მინის ფრაგმენტები მოთავსებულ იქნა სპირტში და რბილი ჯაგრისით გაიწმინდა. შემდეგ ირიზაციის მოსაშორებლად ფრაგმენტი მოთავსდა pH<7 ხსნარში და იწმინდებოდა გამდინარე წყლის ნაკადის ქვეშ. სამუშაოების დასრულების შემდეგ მინის ფრაგმენტები დაიფარა პარალოიდ ბ72-ის აცეტონისნარით.

#### გამოყენებული მასალა:

1. სპირტი; 2. Paraloid B72 ; 3. H<sup>+</sup> 4. აცეტონი


1.



2.



3.



4.



5.



6.



2. საპონსერვაციო სამუშაოების გარათები  
 2006 წლის სეზონზე, პირველად ქართულ სარესტავრაციო პრაქტიკაში, შეიქმნა საკონსერვაციო სამუშაოების დროს გამოყენებული მეთოდების და რეაქტივების აღწერის ბარათები (ლითონზე, კერამიკაზე, მინაზე). (იხ. დანართები)
3. სამხატვრო აკადემიის მცირე ხელოვნების რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის მაბისტრების საზაფხულო პრაქტიკა

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ.დ.ლომიტაშვილის თანხმობითა და ექსპედიციის ფინანსური მხარდაჭერით 2006 წლის ზაფხულში ნოქალაქევის ლაბორატორიაში საველე და საკონსერვაციო-სარესტავრაციო პრაქტიკა გაიარეს სამხატვრო აკადემიის მცირე ხელოვნების რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის მაგისტრებმა. მათი თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული სამუშაოები აღმოჩენების პირველად დახმარებაზე, შეფუთვასა და გამერალურ დამუშავებაზე. გარდა ამისა უფროსი რესტავრატორის ნ.ქებულაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს ნოქალაქევის და მარტვილის მუზეუმების ბრინჯაოს, რკინისა და კერამიკული ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციაში.



საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების დოკუმენტის ნაწილი.